



საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური  
სამსახურის უფროსის

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

№ 41568

ქ. თბილისი

04 ნოემბერი, 2016 წელი

სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად  
განხორციელების თაობაზე

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „1<sup>1</sup>“ პუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-4 მუხლის შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

**მუხლი 1.**

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის და სამსახურის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფისა და 2017 წლის განმავლობაში მათი სამედიცინო დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელების მიზნით:

1. დაევალოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკურ დეპარტამენტს შესაბამისი ელექტრონული ტენდერის დადგენილი წესით ჩატარება სამსახურის სატენდერო კომისიის საშუალებით;

2. ამ ბრძანების საფუძველზე სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელების მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სათანადო ხელშეკრულების გაფორმება, სატენდერო განცხადებით განსაზღვრული ტექნიკური/საკვალიფიკაციო მოთხოვნების და ტექნიკური დავალების პირობების გათვალისწინებით, უზრუნველყოს:

ა) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკურმა დეპარტამენტმა - 1248000.00 (ერთი მილიონ ორას ორმოცდარვა ათასი) ლარის ფარგლებში;

ბ) სსიპ - სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტომ - 22080 (ოცდაორი ათას ოთხმოცი) ლარის ფარგლებში;

3. სამედიცინო დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებებში:

ა) ანაზღაურების პირობად განისაზღვროს უნაღდო ანგარიშსწორება;

ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების წესად განისაზღვროს, რომ მიწოდება განხორციელდება 2017 წლის პირველი იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში და არანაკლებ შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული მოცულობისა.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა, სახელმწიფო დაცვის პოლკოვნიკმა ნუგზარ ყამბეგაშვილმა.

5. ბრძანება გადაეგზავნოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკურ დეპარტამენტს და სსიპ - სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს.

## მუხლი 2.

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი,  
სახელმწიფო დაცვის  
გენერალ-მაიორი

გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერა

ანზორ ჩუბინიძე